

შპს საქართველოს უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების სამსახურის

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს შპს საქართველოს უნივერსიტეტის (შემდგომში - კომპანია) შრომის უსაფრთხოების სამსახურის (შემდგომში - სამსახური) ფუნქციებს, სამსახურის ხელმძღვანელისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის უფლება-მოვალეობებს.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ ორგანული კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და ამ დებულების საფუძველზე.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებია:

1. იზრუნოს, რომ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიაღგეს;

2. უზრუნველყოს, რომ ფიზიკურმა, ქიმიურმა და ბიოლოგიურმა საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;

3. აღრიცხოს სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევები, პროფესიული დაავადებების შემთხვევები და საშიში შემთხვევები;

4. რეგულარულად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით:

ა) შეამოწმოს შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობა;

ბ) უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების მოვლა-გასუფთავება, გააკონტროლოს მათი სწორად გამოყენება და საჭიროების შემთხვევაში დროულად უზრუნველყოს მათი შეცვლა;

გ) აკონტროლოს კომპანიის თანამშრომლების მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა.

5. შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა ფუნქცია-მოვალეობები.

მუხლი 3. სამსახურის სტრუქტურა და მართვა

1. სამსახურის შემადგენლობაში შედიან სასახურის უფროსი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები.

2. სამსახურის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების რაოდენობას განსაზღვრავს კომპანიის პრეზიდენტები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. სამსახურის უფროსი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები ინიშნებიან ხელშეკრულების საფუძველზე კომპანიის პრეზიდენტების მიერ.

მუხლი 4. შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

1. სამსახურის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს სამსახურის უფროსი.

2. სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს პერსონალის სწავლებებსა და ინსტრუქტაჟების პროცესს;

- ბ) ხელმძღვანელობს რისკების შეფასებისა და მართვის პროცესს;
 - გ) შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კომპანიის ხელმძღვანელობას წარუდგენს გასატარებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მომზადება-წადგენა;
 - დ) ახდენს შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევაზე რეაგირებას და სანქციების შესახებ შესაბამისი შუამდგომლობების კომპანიის ხელმძღვანელობისათვის მიწოდებას;
 - ე) ხელმძღვანელობს შრომის უსაფრთხოების კუთხით გასატარებელ პრევენციულ ღონისძიებებს;
 - ვ) მონაწილეობას იღებს უბედური შემთხვევების დროულ და სწორ გამოკვლევას და კანონის მიხედვით ატყობინებს შესაბამის საზედამხედველო ორგანიზაციებს;
 - ზ) ორგანიზაციას უწევს უსაფრთხოების ინსტრუქციების შემუშავებას;
 - თ) აძლევს მითითებებს კომპანიის ცალკეულ სპეციალისტებს და თანამდებობის პირებს სამუშაო პროცესში უსაფრთხოების წესებისა და ნორმების გამოვლენილი დარღვევების გამოსწორებაზე. ამ მითითების გაუქმება შეუძლია მხოლოდ კომპანიის პრეზიდენტებს;
 - ი) ახორციელებს კანონმდებლობითა და კომპანიის მიერ დადგენილ სხვა უფლება-მოვალეობებს.
3. სამსახურის უფროსი ანგარიშვალდებულია კომპანიის პრეზიდენტების წინაშე.

მუხლი 5. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

1. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:

- ა) ახორციელებს დასაქმებულთა მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის კონტროლს;
- ბ) კომპეტენციის ფარგლებში ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების აღმოფხვრასა და შემცირებაზე;
- გ) ახორციელებს პერსონალის მიერ შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის მონიტორინგს;
- დ) მონაწილეობს უბედური შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევისა და რეგისტრაციის პროცესში;
- ე) შრომის უსაფრთხოებასთან დკავშირებით კომპანიის თანამშრომლებს აძლევს მითითებებსა და რეკომენდაციებს;
- ვ) შესაბამის სამსახურებთან და ჯგუფებთან ერთად ახორციელებს კონტროლს საწარმოო პროცესებისა და სამუშაოების სწორ ორგანიზაციაზე და უსაფრთხოებაზე. საწარმოო მოწყობილობების, შენობა-ნაგებობების, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსოების ტექნიკურ მდგომარეობაზე და სწორ ექსპლუატაციაზე;
- ზ) უზრუნველყოფს პერსონალის სწავლებას შრომის უსაფრთხო მეთოდებზე, ინსტრუქციების ჩატარებას;
- თ) დადგენილი წესით აწარმოებს ინსტრუქტაჟების ჟურნალს;
- ი) ადგენს ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ცოდნის შემოწმების გრაფიკს;
- კ) ახორციელებს კონტროლს საწარმოს მოწყობილობათა და დანადგართა უსაფრთხოების საშუალებებით აღჭურვაზე, შრომის პირობებისა და უსაფრთხოების ტექნიკის გაუმჯობესებაზე;
- ლ) მონაწილეობს საწარმოში უფრო საიმედო და გაუმჯობესებულ დაცვის საშუალებების შემუშავებაში და დანერგვაში და ანალიზს უკეთებს ჩატარებული ღონისძიების ეფექტურობას;
- მ) ახორციელებს შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს;
- მ) ასრულებს სამსახურის უფროსისა და კომპანიის პრეზიდენტების სხვა დავალებებს.

2. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ანგარიშვალდებულია სამსახურის უფროსისა და კომპანიის პრეზიდენტების წინაშე.